წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი №76. კვირა დეკემბრის 17 (30) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . [illegible]
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ლინ. [illegible]
უკანასკნელ გვერდზე [illegible]
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 202 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 202

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ კილორში, სენაკის მაზრაში 15 დეკემბერს გარდაიცვალა

მელიტონ გლახუასძე მიქელაძე

რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ფოფალა, ელენე, ბუკულა და ტიტუ მიქელაძეები რძლით ლუბათი, დები: დავერა აჯარსკისა და მინდა ჩხეიძისა, რძალი და ძმის შვილი: ეკატერინე და ბონდო მიქელაძეები. გასვენებისა დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საზოგადო მოღვაწის

დავით ნიკოლოზის ძის ბაქრაძის

გარდაცვალებას, რომლის სულის მოსახსენებლათ კვირას ამა დეკემბრის 17-ს საათის 12-ზე საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი.

ზესტაფონის ქალაქის საბჭოს არჩევნები

მოქალაქენო!

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

სიას № 9

1. წერეთელი ალექსანდრე ზურაბის ძე, — მომრიგებელი მოსამართლე.
2. აბაშიძე გიორგი მინას ძე, — ჟურნალისტი, პედაგოგი.
3. იმხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, — პედაგოგი.
4. ნიორაძე ტრიფონ ანდრიას ძე, — კომერსანტი-მრეწველი.
5. გვალია მიხეილ ოტიას ძე, — ნოტარიუსი.
6. საყვარელიძე კლეონიკე ალექსანდრეს ძე, — კერძო ვექილი.
7. ანთაძე კონსტანტინე დავითის ძე, — მღვდელი, პედაგოგი, მწერალი.
8. კელენჯერიძე ბესარიონ ანტონის ძე, — პედაგოგი.
9. შალამბერიძე ალექსანდრე ლეონტის ძე, კომერსანტი.
10. გოცაძე იორდანე მიხეილის ძე, — ექიმი.
11. არდიშვილი ალექსი თედორეს ძე, — სამხედრო ექიმი.
12. ცქიტიშვილი პავლე სიმონის ძე, — სასამართლოს მდივანი.
13. მამალაძე სამსონ პეტრეს ძე, — კომერსანტი.
14. გაჩეჩილაძე სილიონ სოფრომის ძე, — კომერსანტი.
15. გაჩეჩილაძე ბესარიონ ოქროპირის ძე, — კერძო ვექილი.
16. ორჯონიკიძე სიმონ გიორგის ძე, — პედაგოგი.
17. ნანეიშვილი თეოფანე ბექანის ძე, — პროვიზორი.
18. ბებიაშვილი ივანე სიმონის ძე, — კომერსანტი.
19. კვინიკაძე ერმილე ლაზარეს ძე, — საურთიერთო ნდობის ბანკის დირექტორი.
20. გაჩეჩილაძე ბიქტორ ალფეზის ძე, — კომერსანტი.

კვირას 17 დეკემბერს

ქ. ზესტაფონში ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში გაიმართება

დიდი საღამო-კაბარე.

მოწვეულნი არიან **ცნობილნი ლიტერატორნი, მომღერლები, მოცეკვავენი და სხვა.**

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში.

ექიმი ქ. ს. ადამია იღებს სნებიო, შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფთ. დილის 11 საათ. 1 საათ. საღამ. 6 საათ. 8 საათ. ბალის ქუჩა სახლი სანიკიძის № 12.

ქართველო ჯარისკაცებო!

თქვენი სამშობლო, საქართველო, განსაცდელშია! ყვავ-ყორნები თავს დასჩხავიან და მის დაწიწკნას ლამობენ. ყველა ერი შეერთდა, შენაწევრდა და შეიარაღდა თავდასაცავად. თქვენ კი, საქართველოს საუკეთესო შვილნი, სამშობლოის გარეთ იბრძვით.

მოუთმენლად მოგელისთ თქვენი გაპარტახებული, დაცარიელებული სამშობლო! გამოეშურეთ თქვენს საყვარელ საქართველოსკენ და დაიფარეთ იგი კარზე მომდგარი განსაცდელისაგან!

ვისაც უყვარს თავისი თავი, თავისი ნათესავი, თავისი ტოლი და ამხანაგი და თავისი მშობელი ქვეყანა, ხმალი ქარქაშში არ ჩააგოს და ქართველ ჯარში ჩაეწეროს!

აწ საქართველოში დეზერტირი აღარ უნდა იყოს, ყველამ უნდა მოიხადოს ვალი სამშობლოს წინაშე, არავინ არ უნდა გაექცეს თავის მოვალეობას, ყველა მზად უნდა იყოს სამშობლოსათვის თავის შესაწირავად.

იმავე დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ჯარში უპირველესად დისციპლინაა საჭირო. ნურავინ შეიტანს ქართველ ჯარში ბოლშევიკურ გამხრწნელ წესებს, ნურავინ მოინდომებს დისციპლინის შერყევას! თვითეულმა ჯარისკაცმა ამ საერთო განსაცდელს დღეს პირადი პატივმოყვარეობა უნდა დაივიწყოს და უფროსთა ბრძანებას უნდა დაემორჩილოს: თვინიერ ამ პირობისა ჯარი თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს.

მაშ, ისმინეთ საქართველოს ეროვნული საბჭოს ხმა და შემოკრეთ მის გარშემო! ვინც სამშობლოისადმი მოვალეობას არ აასრულებს, ის გარეწარია და მას ქართველი ხალხი ეტყვის: დედის ტკბილი რძე შხამად შერგებიაო!

ვასილ წერეთელი.

ერობა.

ერობის კითხვაში არა თუ ფართე მასა, არამედ თვით ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და ხელმძღვანელი ჯგუფიც კი ვერ გამორკვეულა. ადგილობრივათ უკვე არჩევნების დაწყებას აპირებენ, მიუხედავათ იმისა, რომ ერობის არჩევნებისთვის ჯერ სათანადო წესი არ გამოქვეყნებულა.

ვინ ავრცელებს ერობას ამიერ-კავკასიაში? ამიერ-კავკასიის კომისარიატი. ამიერ კავკასიის კომისარიატმა სასწრაფო დეკრეტში განაცხადა, რომ ერობა დაუყონებლივ იქმნეს შემოღებული უდავო ადგილებში და სულ ერთია იგი როგორის წესით და სახით განხორციელდებაო. ჩანს ამიერ-კავკასიის კომისარიატს სურს დაანახოს ხალხს, რომ იგი ძველ რეჟიმსავით რეფორმების მოხდენას არ აყოვნებს, მაგრამ [illegible] რა?

დეკრეტით რეფორმების გულუხვათ გაბოძება კი არ არის ხალხისთვის საჭირო, არამედ ამა თუ იმ რეფორმის ხალხის ჭირ-ვარამთან შეფარდებით განხორციელება და დაფუძნება.

ახლა, როდესაც ჩვენში საერობო არჩევნებს შეუდგებიან, როგორც ზემოთ ვსთქვით, უმეტესობამ ამ არჩევნებისა არა იცის რა. დღეს მმართველობის ყოველ ფუნქციას სოციალ-დემოკრატიული პარტია უდგია სათავეში და სამწუხაროთ ჩვენდა ეს პარტია ყოველ-გვარ რეფორმის შემოღებას პარტიულ მრწამსზე და პროგრამაზე ამყარებს.

ამის მაგალითები ჩვენ გვახსოვს დამფუძნებელ კრების არჩევნებიდან, მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

არა გასაღიზიანებლათ ვისიმესი, არამედ სამართლიანობის და ხალხის ინტერესის საჭიროებისთვის ვამბობთ, რომ დღევანდელი ერობის არჩევნები სრული ბურუსით არის მოცული, არ არის საარჩევნო დებულება, არ არის სხვა აუცილებელი სახელმძღვანელო წესი.

ასეთ გარემოებაში შეუძლებელია ამ დიდ მნიშვნელოვან რეფორმის ყველასათვის სასურველათ გატარება.

ერობა ახალი რეფორმაა, რომელმაც ძირიან-ფესვიანათ უნდა შესცვალოს ძველი უვარგისი წესწყობილება და ახალი სახალხო ეროვნული მმართველობა დაამყაროს. ეს კი უძნელესი საქმეა და ცალკე პარტიებს არ ძალუძთ მისი შესრულება. ერობის საარჩევნო წესი, დებულება წინასწარ უნდა გამოქვეყნებულიყო, რათა ყოველ მოქალაქეს და მით უმეტეს ამა თუ იმ ხელმძღვანელ ჯგუფს მის შესახებ შესაფერი წარმოდგენა ჰქონოდა. დღეს, როგორც ვსთქვით ეს საქმე ბურუსშია გახვეული. პარტიული პროგრამით ქვეყნის მართვა წარმოუდგენელია.

საქართველოს ეროვნული საბჭო დღეს საქართველოს კანონიერი გამგებელია. ყოველგვარი რეფორმით უპირველეს ყოვლისა ეროვნული საბჭო უნდა იყოს დაინტერესებული, როგორც ფაქტიური და იურიდიული პატრონი საქართველოსი. ყოველგვარი დეკრეტი ეროვნულ კრიტიკის ქარ ცეცხლში უნდა გაატაროს ეროვნულმა საბჭომ, გარდაქმნას იგი კანონად და მერე წარმოგზავნოს ცხოვრებაში გასატარებლათ. ეროვნულ საბჭოს თუ არა აქვს ამის უფლება, მაშ ვისაღა აქვს? ეროვნული საბჭო თვით ამიერ-კავკასიის კომისარიატისგან არის აღსარებული მმართველობის ორგანოთ. ერობა მეტად დიდი კითხვა არის და, როგორც ამასწინათ ვსთქვით, მან უნდა ჩაუყაროს პირველი მტკიცე საძირკველი საქართველოს ეროვნულ თვით-გამგებლობას. ამიტომ ამ კითხვის მოსაგვარებლათ ეროვნულ საბჭოს უდიდესი სიფრთხილე და დაკვირვება მართებს.

ჩვენ ველით ეროვნულ საბჭოს გონიერ სახელმწიფო ნაბიჯის გადადგმას ერობის საქმეში.

ირ—დი

რუსული პრესა.

ზავი რუსეთის ხარჯზე

გაზ. "ნაშვეკ" (ყოფილი „რეჩი") ეხება ზავის კითხვას და გადაჭრით ამბობს, რომ დროებითი ზავი რუსეთის ხარჯზე და ეჭვს გარეშეა, რომ სეპარატიულ ზავად იქცევა. ფრონტი იმდენად გატიტვლდა, რომ ახალი წლის დასაწყისში ბევრიც რომ მოინდომონ ომის გაგრძელება, ყოველგვარი მთავრობა იძულებული შეიქმნება ყოველნაირ ხასიათის ზავის პირობებზე ხელი მოაწეროს. გაზეთი შხამს ასხამს ბოლშევიკების იმ იმედს, რომ ზავს ყველა სახელმწიფოები მოითხოვენ ახალწლისათვის. მიმდინარე მომენტი მეტად ღრმა [illegible] გადავარდა [illegible] ზედმეტია იმის, რომ ინტერნაციონალისტმა სოფისტებმა როგორმე გამოასწორონ ჩვენი წაგებული საქმე. ასე თუ ისე რუსეთის საქმე წყალ წაღებულიაო ამბობს გაზეთი და განაგრძობს: „დაე მოიწვიონ საზავო კონფერენცია ყველა მეომარ სახელმწიფოთა მონაწილეობით. ამ შემთხვევაში ინგლისი მიუთითებს თვის საზღვაო ძლიერებაზე, საფრანგეთი უდრეკ არმიაზე ამერიკა; ოქროსმთეზე და ადამიანთა მასალის ხელუხლებელ სიმართლეზე რუსები კი რას მიუტანენ გარდა დეკრეტებისა და რეზოლუციების უამრავ რიცხვისა? შესაფერს და მაშასადამე ამ შემთხვევაში რუსეთი ყველაზე სუსტ კონტრაგენტად იქნება წარდგენილი და მაშასადამე ზავიც რუსეთის ხარჯზე ჩამოვარდება. ამნაირად „საყოველთაო" ზავიც არაფერს უქადის რუსეთს, გარდა ტერიტორიის დაკარგვისა, ეკონომიურ დაბეჩავებისა და პოლიტიკურ დამცირებას. 8 თვიურმა ინტერნაციონალისტურმა ფშტვენა ცეკვამ იმდონად დაქანცა ჩვენი სამშობლოს დაფლეთილი ორგანიზმი, რომ ეკონომიური და პოლიტიკური კატასტროფა და მარცხი სავსებით უზრუნველ ყოფილია მისთვის.

ბოლშევიკების დიქტატურა.

გლეხთა ყრილობაზე პეტროგრადში ტროცკის უნდოდა ზავზე მოლაპარაკების შესახებ მოხსენება გაეკეთებინა, მაგრამ გლეხებმა ლაპარაკის ნება არ მისცეს.

—

ბოლშევიკურ აგიტაციის გამო უკრაინაში საშინელმა ანარქიამ იჩინა თავი. იწვის სოფლები, ანადგურებენ ქარხნებს.

—

უკრაინისკენ მომავალი უკრაინელ ჯართა 121 დივიზიის ეშელონს სადგურ როსლავლთან ბოლშევიკებმა სროლა აუტეხეს. მოჰკლეს რამდენიმე ჯარისკაცი. ეშელონმა უკრაინისკენ სვლა განაგრძო, მაგრამ ბოლშევიკებმა რკინის გზა ააფეთქეს და მათ იარაღი აჰყარეს. ბალტიის ზღვის მეზღვაურებმა და გვარდიელებმა ძალადობა იხმარეს ჯარისკაცსა და ოფიცრებზე, დახვრიტეს ოთხი იარაღ აყრილი ოფიცერი. შეიპყრეს 36 ოფიცერი და სად გაგზავნეს არ ვიცით. ჩრდილოეთის ფრონტის რადა შეიპყრეს, მაგრამ რადგან მთელმა ფრონტმა ამის გამო პროტესტი განაცხადა, — ისევ გაანთავისუფლეს.

მინსკში დასავლეთის ფრონტის რადა ერთი კვირაა რაც შეპყრობილია.

—

ვოლოჩისკას მახლობლად უკრაინელებსა და ბოლშევიკებს ბრძოლა მოუხდათ. ბოლშევიკები დამარცხდნენ.

—

ხარკოვიდან ბოლშევიკები გასდევნეს. დაწესებულებანი და ტელეგრაფი უკრაინელ სამხედრო უფროსების ხელშია ქალაქში უკრაინული ყაზახები მიდიან.

—

მცირე რადის სეკრეტარიატის თავმჯდომარემ ვინიჩენკომ თავის სიტყვაში სხვათაშორის სთქვა:

ბოლშევიკებს ავიწყდებათ, რომ თუ პეტროგრადში მათ გაიმარჯვეს, ეს იმიტომ, რომ დროებითი მთავრობა უძლური იყო, ჩვენ კი მხარს გვიმაგრებს უკრაინის მთელი რევოლუციური დემოკრატია.

ბოლშევიკურ კორპუსის დაჭერა

ჟმერინკაში უკრაინელებმა დაიჭირეს ბოლშევიკების საგვარდიო კორპუსი და იარაღი აჰყარეს. ხსენებული კორპუსი კიევისკენ აპირებდა წასვლას.

საზღვრების დაკეტვა

უკრაინის საზღვრები დაიკეტა. პეტროგრადი უკრაინას ფულს აღარ უგზავნის. გენერალურმა სეკრეტარიატმა პურისა და შაქრის გაგზავნა აკრძალა. შაქარსა და პურს გაგზავნიან თუ ფულს მიიღებენ. ამასთან მესამედი ოქრო უნდა იყოს. შაქარსა და პურს დონსა, კავკასიასა და ყირიმს არ შეუწყვეტენ.

ომის გამოცხადება

დეკემბრის 10 ს კიევიდან კავკასიაში მყოფ უკრაინის ცენტრალ რადის კომისარს კუციაკს პირდაპირის მავთულით შეატყობინეს: კრილენკომ ოფიციალად ომი გამოუცხადა უკრაინას. ველიკოროსების ჯარებს ნაბრძანები აქვთ დღეს ფრონტები დასტოვონ და კიევისკენ წამოვიდნენ. სახალხო კომისრებს — ცალმხრივ თითქოს ჰსურთ კონფლიქტის ჩაქრობა — მაგრამ მეორეს მხრივ კრილენკოს ბრძოლის ნებას აძლევენ.

ბანკების კონტროლი

სმოლნიში მზადდებ ახალი დეკრეტი ბანკების კონტროლის შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად თვითეულ ბანკში საგანგებო კომისარი ინიშნება. ჩეკებზე უნდა აღინიშნებოდეს არა მარტო მისი წარმომადგენელი, არამედ ისიც, თუ რისთვის სჭირდება ფული.

ჯარისკაცები და წითელ გვარდიელები

წითელგვარდიელებსა და ჯარისკაცებს შორის უთანხმოება დღითი დღე იზრდება, ამის გამო იწვევენ საგანგებო კრებას, რათა ამ უთანხმოებას რამე უწამლონ.

მონარქისტების მანიფესტაცია

მოსკოვში ხმები გავრცელდა ამ დღეებში მონარქისტები მანიფესტაციას გამართვენო. ბოლშევიკების აჯანყების შემდეგ მონარქისტები დიდ მოქმედებას იჩენენ. მონარქისტების ლიდერთა უმრავლესობა განთავისუფლებულნი არიან.

ბრძოლა უკრაინელებთან

სახალხო კომისარების საბჭომ გადასწყვიტა ენერგიული ზომები მიიღოს უკრაინლების წინაამდეგ საბრძოლველად. გადაწყვეტილია ჩრდილოეთის და დასავლეთის ფრონტზე მყოფ უკრაინულ ჯარის ნაწილების შეპყრობა. მოსკოვისა და პეტროგრადში მყოფ უკრაინლების წინაამდეგაც მეტათ სასტიკი ზომებია მიღებული.

ბოლშევიკების ჯარები

პროსკუროვი ბოლშევიკების ხელშია. ბოლშევიკების ჯარები ბერდიჩევისკენ მოჰყავდათ, მაგრამ მალე შეაჩერეს. ბრიანსკისკენ ბოლშევიკებს ორს კორპუსს ელიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტის ცნობები

უკრაინის ცენტრალ რადის კომისარ კუცუკს პირდაპირის მავთულით ატყობინებენ: დეკემბრის 11-ს საღამოთი მთელ ფრონტიდან სასიამოვნო ცნობები მივიღეთ. უკრაინული ჯარები ბოლშევიკებს იირალს ჰყრიან. თითქმის მთელი რუმინეთის ფრონტი ჩვენს ხელშია. პოლკოვნიკმა ს. ჟმერინკის გარშემო თავ მოყრილ ბოლშევიკებზე გასალაშქრებლად უკრაინელთა რაზმი შეადგინა. კაზატინსა და შეპეტოვსკის უკრაინელი ნაწილები კიევისკენ მიმავალ გზას უჭრიან, ასე რომ ბოლშევიკები ირგვლივ შემორტყმულნი დარჩებიან.

ბოლშევიკების წარმომადგენელთა ყრილობა

დეკემბრის 12-ს შეიპყრეს ბოლშევიკების გამოჩენილი წარმომადგენლები. ერთი მათგანი პეტროგრადიდან სამხრეთ დასავლეთის ფრონტისაკენ მიდიოდა. იგი კიევში მიყვანეს. ბოლშევიკების მეორე გამოჩენილი მოღვაწე რუმინეთის ფრონტზე შეიპყრეს.

კიევში შესვლა აიკრძალა

გენერალურ სეკრეტარიატმა გამოაქვეყნა კიევში შესვლის წესები. 10-დან კიევში მხოლოდ მოწმობიანებს უშვებენ.

ბოლშევიკების ძალები

კიევში მიღებულ ცნობებით გომელისა და ბახმაჩის შუა ბოლშევიკები იყრიან თავს და საბრძოლველად ემზადებიან.

საზღვრების დაცვა

გენერალურ სეკრეტარიატმა უკრაინის საზღვრების დასაცავად ყოველგვარი ზომები მიიღო. საზღვრების ყოველგვარ იარაღით ამაგრებენ.

ჯავშნოსან ,,მერკურის'' გაწვევა

საზღვაო რადამ ტელეგრაფით გაიწვია სევასტოპოლში მდგომი ჯავშნოსანი ,,მერკური''

პროსკუროვი ბოლშევიკების ხელში

პროსკუროვის რაიონში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. ქალაქი პროსკუროვი ბოლშევიკების ხელშია.

გერმანელები უკრაინის წინაალმდეგ.

კიევში ხმები გავრცელდა ბუკოვინიდან ბოლშევიკების ჯარებთან ერთად გერმანელი ჯარებიც მოდიან. ჯარების გერმანელი ოფიცრებიც უფროსობენო.

[illegible]

კიევიდან იუწყებიან, ბოლშევიკებმა ჟმერინკაში სამხედრო წესები გამოაცხადესო. მეშვიდე და საგანგებო ლაშქარი ჰშველიან წითელ გვარდიელების. ზოგიერთ ადგილებში რკინის გზის მოძრაობა შეჩერებულია, პროსკუროვში და ჟმერინკაში ბილეთების ყიდვა შეჩერებულია, რადგანაც იქ ბოლშევიკები და უკრაინელები იბრძვიან.

ბრძოლა რუმინეთის ფრონტზე.

კიევში მოსული ცნობით ბოლგრადში (ბესარაბ. გუბ.) რუმინეთის რაიონში ცხარე ბრძოლა სწარმოებს უკრაინელებსა და ყაზახების და ბოლშევიკების შორის. ქალაქი იწვის.

ომი და ზავი

ვლადივოსტოკის დაჭერა.

გუშინ საელჩო წრეებში მიიღეს ოფიციალური ცნობა, რომ ვლადივასტოკში იაპონელთა ახალი ნაწილებით მოსულმა ქალაქის მთავარი პუნქტები იაპონლებმა ჩაიგდეს ხელში. იაპონლებმა ხელთ იგდეს რკინის გზის სადგურიც და წინ იწევიან.

მობილიზაცია ამერიკაში.

ამერიკაში მობილიზაციას ახდენენ. დღეს ჩასაწერი პუნქტები აივსო მოხალისეებით. პირველ პოზიციაზე გაიგზავნებიან ისინი, ვინც კანონით და სამართლით უნდა შეეწიროს სამშობლოს მსხვერპლად. შემდეგი ჯარის მოკრებაც მოხდება თუ ამას გარემოება მოითხოვს.

დელეგატები

როგორც ირკვევა, საზავო მოლაპარაკებას ცენტრალ სახელმწიფოთა გრაფ ჩერნინსა და კიულმანს ავლებენ. რუსეთის დელეგაციის მეთაურად მოსკოვის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. კორპოვსკი იქნება.

კერძო თათბირი

დეკემბრის 5-ს ბრეს-ლიტოვსკში რუსეთისა და ცენტრალ სახელმწიფოების დელეგატთა კერძო თათბირი დაიწყო. მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები აცხადებენ საზავო კონფერენციაზე მხოლოდ მაშინ დავესწრებით თუ დამფუძნებელი კრება ბრესტში შეკრულ დროებით ზავის ხელშეკრულებას დაამტკიცებსო.

ეროვნული კითხვა.

დამფუძნებელ კრების წევრთა სხდომა.

დეკემბრის 11-ს უკრაინაში არჩეულ დამფუძნებელ კრების წევრთა სხდომა მოხდა, კრებაზე 40 კაცი გამოცხადდა. ზოგზოგ გუბერნიებში ჯერ ხმები არ დაუთვლიათ. ვიდრე გამოირკვევა, შესაძლებელია თუ არა, რომ დამფუძნებელი კრება პეტროგრადს მოხდეს, ხსენებული წევრები კიევში დარჩებიან.

ცენტრალ რადაში.

დეკემბრის 12-ს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალ რადის მე-8 სესია დაიწყო. დღის წესრიგში შეტანილია ზავის კონკრეტული პირობები და მიწის კანონპროექტი. დამფუძნებელ კრების წევრებს ცენტრალ რადაში უთმობენ ალაგს. მათ გადამწყვეტი ხმის უფლება ექნებათ.

დამოუკიდებელი საზავო გამოსვლა.

გენერალურ სეკრეტარიატმა ბრესტლიტოვსკში საზავო მოსალაპარაკებლად დელეგაცია გაგზავნა. მათ უკრაინულ პარტიების დელეგატებიც გაჰყვნენ. საზავო მოლაპარაკებაზე დელეგაციას უკრაინულ რესპუბლიკის სახელით, დამოუკიდებელი გამოსვლა მოუხდება, რადგან, მათი რწმენით, სახალხო კომისრების დელეგაცია რუსეთს მჰყიდის როგორც ნარდად, ისე ნაწილ-ნაწილად.

დამფუძნებელ კრების არჩევნები.

დამფუძნებელ კრების არჩევნები დანიშნულ დროზე მოხდება. სიებს ადგენენ და დეკემბრის 15 დე გამოაქვეყნებენ. ამ თვის 27-ს არჩევნებიც დაიწყება.

ფულის გამოშვება.

უკრაინული ფული დეკემბრის 10-ს უნდა გამოუშვან.

მართლმადიდებელ რადის დადგენილება.

მართლმადიდებელმა რადამ ღვთის მსახურებაში შემდეგი დააწესა: „ღმერთ-შემოსილი ღვთივ დაცული სამეფო უკრაინისა; უმაღლესი ხელმწიფება მისი რადა და სრულიად უკრაინის ლაშქარი“.

ახალი ამბავი.

ქუთაისი

ქალაქის არჩევნები ქ. ზესტაფონში. ზესტაფონის მოქალაქენო დღეს ქალაქის არჩევნებია. გახსოვდეთ, რომ ხმა მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას № 3 უნდა მისცეთ.

◆ **პარტიული საქმე.** დღეს საღამოს 7 საათზე გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში დანიშნულია სასწრაფო კრება ფრიად სერიოზულ კითხვის გასარჩევათ. პარტიის წევრთ ვთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

◆ **მოხსენება მომენტზე.** ეროვნულ-დემოკრატ. სტუდენტთა საგუბერნიო ორგანიზაცია სამშაბათს დეკემბერს 19-ს საღამოს 6 საათზე წმ. ნინოს სასწავლებელში „თანამედროვე მომენტზე“, რომელსაც წაიკითხავს ამხ. იოსებ ხანანაშვილი რაც ეუწყება ამხ. სტუდენტებსა და მოწაფეებს. დასწრება შეუძლიანთ პარტიის დანარჩენ წევრებსაც.

◆ **გლეხთა დეპუტატების ყრილობა.** 1918 წლის იანვრის 10-ს თბილისში მოწვეულ იქნება გლეხთა დეპუტატების ყრილობა.

◆ **ციმბირის რესპუბლიკა.** ციმბირის საოლქო ყრილობამ აუცილებლად სცნო ციმბირის რესპუბლიკის გამოცხადება.

— **უკრაინის დეპეშათა სააგენტო.** კიევში ადგენენ დამოუკიდებელ უკრაინულ დეპეშათა სააგენტოს.

— **რკინის გზაზე.** განახლდა მატარებლების მიმოსვლა როსტოვსა და ხარკოვს შუა და ოდესასა და კიევს შორის.

— **ასსირიელთა ყრილობა.** ამ დღეებში თბილისში მოწვეულ იქნება ასსირიელთა ეროვნული ყრილობა.

◆ **საქართველოს ეროვნული საბჭოს** აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა მოხდება დღეს 12 საათზე.

◆ **ბაღდადის რკინის გზა.** ამიერ კავკასიის კომისარიატი აცნობებს სამხედრო სამრეწველო კომიტეტს, რომ ის დადგენილება, რომელიც ინჟინერ ჯაფარიძეს აძლევდა ბაღდადის რკინის გზის გაყვანას გაუქმებულია. კომიტეტს წინადადება ეძლევა, რათა განაგძოს მუშაობა ძველის წრით.

◆ **„ნომერი 21 ჯვრით“** გუშინ განმეორებით იქნა წარმოდგენილი ია ეკალაძის ახალი პიესა ნომერი 21 ჯვრით“ იგივე პიესა მესამედ დაიდგმება კიდევ დღეს.

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა საყურადღებოთ.

დღეს 10 საათზე სტუდენტებს ვსთხოვთ აუცილებლივ შემოიაროთ ჩვენი ქვეყნის რედაქციაში.

ეროვნულ დემოკ. პარტიის წევრების საყურადღებოთ.

სამშაბათს, 19 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, წმინდა ნინოს სასწავლებელში იოსებ ხანანაშვილი გააკეთებს მოხსენებას

„თანამედროვე მომენტზე“

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრთ და თანამგრძნობთ ვსთხოვთ მოხსენებას მრავლათ დაესწროს.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი და შეკითხვები.

ერ. დ. პ. სტუდ. პრეზიდიუმი.

◆ **უბედური შემთხვევა.** წყალ-გაღმა უბნის კომისარიატში ჯარის-კაცს არაბულს უცაბედად გაუვარდა თოფი. ტყვია მეორე სართულში მოხვდა ფოსტის უფროსს კაჭახიძეს, რომელიც მძიმედ დაიჭრა

◆ **საღამო კაბარე დღეს ქ. ზესტაფონში** ახალგაზრდა მგოსანი ლადო მაჭავარიანი გამართავს დიდ საღამოს კაბარეთი. საღამოში მონაწილეობენ. ია ეკალაძე ალექსანდრე თორაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია ვ. გაფრინდაშვილი კ. ნადირაძე ლ. მაჭავარიანი და შ. კარმელი და შ. ციბაძე საკონცერტო განყოფილებაში, მონაწილეობს ვარშავის კონსერვატორიისა ი. როინიშვილი, ცნობილი პიანისტი ქალი ნ. მგელაძე მომღერალი ქალი ელენე აბაშიძე, სკრიპკაზე დამკვრელი ლ. ყარგოზიანი. ეროვნული და ევროპიული ცეკვა ი. როინიშვილის მეთაურობით. ვახშმის დროს შესრულებულ იქნება სხვადასხვა საინტერესო ნომრები. დაუკრავს ზურნა და მუსიკა.

◆ **ქართული დივიზიის უფროსს ექიმად.** დაინიშნა გიორგი ქორქაშვილი.

◆ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** ქართული დრამატიული საზოგადოება ამ დღეებში ღარიბთა სასარგებლოდ გამართავს წარმოდგენას.

◆ [illegible] დანიშნულია 19 დეკემბრისათვის.

◆ **იარაღის მოპარვა.** ლევაშოვის ქუჩაზე მე-398 სამხედრო ჰოსპიტალიდან ვიღაცეებს მოუპარავთ 5 ნაგანი.

◆ **ღარიბთა სასარგებლოდ.** სააქციონერო საზოგადოებამ „ფილმამ“ ქალაქის გამგეობას ღარიბთა სასარგებლოთ შესწირა 500 მანეთი. ერთმა პირმა 300 მანეთი და ბათუმის ქალაქის გამგეობამ განზრახულ საღამოსათვის 200 ფარდი და 500 იის თაიგული.

◆ **მოსამსახურეთა შორის** ამას წინათ ქალაქის მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ მათთვის უქმეების გამო მიეცათ ჯილდოდ ერთი თვის ჯამაგირი. ქალაქმა მათი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა. მოსამსახურეებმა დაადგინეს ქალაქის გამგეობას თხოვნით ხელ მეორედ მიმართონ.

— **საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის** მორიგი კრება მოხდება ხვალ 18 დეკემბერს.

◆ **დახმარება.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა მისცეს თავის მოსამსახურეებს დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირი მომავალ დღესასწაულებზე.

◆ **ყულაბებით ფულის შეგროვება.** 20 დეკემბერს ქალაქის გამგეობა ქუთაისში, ღარიბთა სასარგებლოდ შეაგროვებს ყულაბებით ფულს.

◆ **სასტატისტიკო განყოფილება.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათ კომიტეტთან არსდება სასტატისტიკო განყოფილება.

◆ **შაშა და შაქარი.** გუშინ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო 8 ვაგონი შაქარი და 23 ვაგონი შაშა.

ქურდობა. ღამით, დეკემბერს 16 გიმნაზიის ქუჩაზე გატეხეს ქუდების სახელოსნო ბაჟიევისა და ამირიდოვისა. წაიღეს 2500 მანეთად ღირებული საქონელი.

— ამავე ღამეს კათოლიკების ქუჩაზე გატეხეს და გაძარცვეს სტეფანე გუბელიშვილის დუქანი.

— ამავე ღამეს პუშკინის ქუჩაზე ცაგარელისა და გურგენიძის სახელოსნოდან მოიპარეს 2000 მანეთად ღირებული საქონელი.

◆ **კრების გადადება.** დეკემბრის 10-ს უნდა მომხდარიყო სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების კოოპერატივის „ერთობის“ სასწრაფო სხდომა, მაგრამ წევრთა კანონიერ რიცხვის გამოუცხადებლობის გამო კრება გადაიდო დეკემბრის 17-სთვის.

◆ **საყმაწვილო წიგნაკები.** გამოვიდა და ჟურნ. გაზ. კანტორა „იმერეთში“ იყიდება საყმაწვილო წიგნაკები: „მელია და კურდღელი“, კურდღელი და ივანიკა“ და „ყვავი და კიბო“. გამოცემა „სურათების და ზღაპრებისა“.

◆ **ჟურ. ,,ნაკადული''.** ჟურნ. გაზ. კანტორა ,,იმერეთმა'' მიიღო საყმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის № 12, 13, ხოლო მოზრდილთათვის № 6 და 7.

თბილისი.

ქართული ჯარი. საქართველოს ეროვნული საბჭოს დადგენილებით უნდა შედგეს ქართული ჯარი, ამიტომ ცხენოსანთა ქართველი პოლკის სარდალი მიმართავს ქართველ მხედრებს, გამოცხადდენ კანცელარიაში, რომელიც მოთავსებულია „ლონდონის“ სასტუმროში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ქართულ პოლკებში ჩასარიცხად, დილის 11-დან საღამოს 4 საათამდე. ჩასაწერად საჭიროა პიროვნების ქაღალდი.

— **ამიერ კავკასიის კომისარიატმა** დაადგინა მოაწყოს კომისარიატთან პატარა საბჭო, რომელსაც დაკისრებული ექნება მიმდინარე საქმეები და საკითხები არა პრინციპიალური ხასიათისა. ამ პატარა საბჭოს წევრებად იქნებიან კომისრების თანაშემწეები.

— **კავკასიის ლაშქრის მე-2 ყრილობამ** საოლქო საბჭოს უნდობლობა გამოუცხადა: ყრილობაზე არც ერთი ადგილი არ მისცა გადამწყვეტის ხმით.

— **ქართველთა სამხედრო კავშირს** ია კარგარეთელმა წინადადება მისცა ქართულ სამხედრო ნაწილებს ასწავლონ ქართული სიმღერები ორ-ორი მაინც.

† დავით ბაქრაძე

(მოგონება).

ჩვენს განსვენებულ მოღვაწეთა სავანეს [illegible]

ამ დღეებში, რაჭაში, თავის სამშობლო სოფელში, ხან მოკლე ავად-მყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ჩვენი მცხოვანი მოღვაწე, დავით ბაქრაძე.

დავით ბაქრაძე ცნობილი და დამსახურებული მოღვაწე იყო ჩვენში, ხოლო მოღვაწეობა მისი მრავალ-ფეროვანი და ნაყოფიერი.

ქართული საქმე და დავით ბაქრაძეს სახელი მჭიდროთ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთმანეთში თითქმის ჩაქსოვილ ჩათასმული.

სადაც კი სამშობლოს კეთილ-დღეობაზე საჭირო იყო სჯა ბაასი, შრომა-მუშაობა და აზროვნება-დავით ბაქრაძეს ყველგან ვხედავდით თუარა საქმის მოთავედ მხურვალე თანამგრძნობლად, თანამშრომლად და ერთ საუკეთესო, გულწრფელ მუშაკად მაინც.

სამოციან წლებიდგან დაწყებული უკანასკნელ წლებამდის, არც მოფიქრებულა არ დაბადებულა და არც განხორციელებულა ისეთი რამ კულტურული ან ეროვნული საქმე ჩვენში, რომ დავით ბაქრაძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს იქ და ან მისი შემადგენლობის ერთი საიმედო ბურჯთაგანი არ ყოფილიყოს იგი.

დავითის ხანაში ჩვენი ქვეყანა და მისი შეგნების, გაღვიძების საქმე ჯერ სულნორჩი და ხელ უხლებელი იყო.

ნიადაგი სრულიად უქი და შეურყეველი.

ეკლით და ბაძაგნარით შემოსილი, სამუშავარი აუარებელი, მაგრამ მუშაკთა რიცხვი მცირე და მუშაობაც ძნელი, საშიშო და ფრიად სახიფათო. მწერლობა ის ის იყო იღვიძებდა, ახლდებოდა, ახალ ცხოვრების დასამყარებელ იდეებს ქადაგობდა, ამსახურებდა, მაგრამ მოწინაალმდეგე ბანაკიდგან. ამავე დროის, ჩვენი მოსისხლე მტრები გულზე სკდებოდენ, კბილებს ილესავდენ და ყოველთვის მზად იყვნენ. თუკი შემთხვევა ნებას მისცემდათ ჩვენი ამ გვარ გაღვიძების წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ და ჩვენი საქმეც დაბადების უმალვე, დაეხრჩოთ და მზის სინათლე მისთვის სამუდამოთ დაეკარგათ.

დავითი ეკუთვნოდა იმ დროს, რიცხვით პატარა, მაგრამ მოღვაწეობის სიდიადით-ბუმბერაზ ჯგუფს, რომელმაც ჯერ კიდევ მაღალ სასწავლებელში ყოფნის დროსაც, თავის ცხოვრების და მოღვაწეობის მიზნად დაისახა სამშობლოს სიყვარული, მისი კეთილ-დღეობის აყვავება და წარმატება.

ამ ჯგუფს ამშვენებდენ განსვენებულნი აკაკი, ილია, გ. წერეთელი, ძმანი [illegible] და სხვანი.

პატივცემულნი: ნ. ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე [illegible] ამ მოღვაწეთა [illegible] ლით იყო მოცული და მუშაობაც საძნელო და სახიფათო, მაგრამ მათმა მამულის მხურვალე სიყვარულმა ამ სიძნელის ფიქრიც კი გააქარწყლა-გააქრო და მედგრად შეუდგა ყოველგვარ ამ გზაზე შემფერხებელ გარემოებასთან ბრძოლას.

ამ ბრძოლაში, ამ ეროვნულ აყვავების წადილში, განსვენებული დავითი სალი კლდე, გაუტეხელი, კაჟ-ხასიათის, რწმენით შეურყეველ მებრძოლად ითვლებოდა.

ქუთაისის საადგილ-მამულო და საურთიერთო ნდობის ბანკების, სამეურნეო სასწავლებლის, სამსაჯულის და ქუთაისის შავი ქვის საბჭოს მემატიანე ისე ვერ შეეხება ამ დაწესებულებათა გაჩენის, მოქმედების და ალორძინების ისტორიას, რომ დავით ბაქრაძე არ მოიხსენიოს და საპატიო ადგილი მას არ მიუჩინოს.

ვის არ ახსოვს დღესაც, განსვენებულ დავით ბაქრაძის იმ დროის შესაფერი, და ღრმა შინაარსიანი სიტყვა, წარმოთქმული ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის კურთხევის დროს, რომელ სასწავლებლის მზრუნველადაც ითვლებოდა იგი დიდ ხანს?!

ვის არ ასიამოვნებს დღესაც იმ საახალხლო ფელეტონების წაკითხვა, რომლებიც იბეჭდებოდა პატივცემულ დ. ნაზაროვის გაზეთ „შრომაში“ „სეველი“ს ფსევდონიმით და რომელიც ეკუთვნოდა ამ გაზეთის მუდმივს და გულწრფელს თანამშრომლეს-დავით ბაქრაძეს?! განსვენებული დავითი ღრმად განათლებული და ცოდნით აღჭურვილი ადამიანი იყო.

კალამი ძლიერ უჭრიდა, ენა მაზვილიც იყო, მხოლოთ მწერლობაში, ლაპარაკი კი ისე არ ემარჯვებოდა.

ამიტომაც, მის დროს, თუ რაიმე ძნელი დასაწერი ქაღალდი იყო, სხვ[illegible] უსათუოთ დავითი შეასრულებდა. ის დაწერდა ხოლმე.

შეხედულობით მოხდენილ ვაჟ-კაცს, მოქმედებით გულწრფელს, პირდაპირ, თამამ მოლაპარაკეს, ჭეშმარიტების მედგრად დამცველს და მებრძოლ დავით ბაქრაძეს ყველგან, სადაც კი საზოგადო საქმე კეთდებოდა იქ ნახავდით. იგი მოკლებული იყო ყოველგვარ ორპირობას, დიპლომატიურ მოქმედებას, სიფლიდეს და ჩვენებურ, იმერულ მოხერხებულ, მოჭახრაკებულ მიეთ-მოეთობას და მის და საუბედუროდ, მიზეზიც ეს იყო, რომ აქ მას პირადი მტრებიც ბევრი გაუჩნდა, რომლებიც განსვენებულის დავითის მოღვაწეობას შესაფერად არ აშუქებდენ, მუდამ ჩრდილში ჰყავდათ:

დიახ, ეს გახლდათ, სწორეთ იმ დროში როდესაც განსვენებულის პირადი მტრებიც ცოცხალნი იყვნენ და თვითონ დავითიც... დღეს კი პირადულმა სიძულვილმა, წვრიმალმაც გულ ნატკენობამ და მტრობამ დავიწყების უფსკრულში უნდა ჩაიმარხოს-ჩაიყურყუმალოს და დღემდის დაჩრდილული ეროვნული მოღვაწეობა განსვენებულ. ბაქრაძისა, შესაფერი დაფასებით გამუქდეს და საქართველოს ეროვნულ დემოკრატების ჯგუფს დავითის სახელიც ამშვენებდეს.

თეოფ. ხუსკივაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

განცხადება.

ქუთაისის სამაზრო სასურსათო სამმართველო აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ გამგეობის ბინა მოთავსებულია სასტუმრო „ევროპაში“ — პუშკინის ქუჩა, სახლი გაბელიშვილისა. ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის.

გამგეობა.

დავკარგე

ცხენი შემდეგი ნიშნების: ფერათ თეთრი, ტანათ საშუალი, ძუა ფაფარი თივის ფერი, ძუა მოკლე, უკანა ფეხების დასაწყისი ცოტათი ლურჯი, დაჭდილი ქართულ ნალებით. მნახველს ვთხოვ შემდეგი მისამართით შემატყობინოს: ქ. ქუთაისი ბალახვანის ქუჩა ჭიპაშვილის სახლი ბეგლარ ნაფეტვარიძეს.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში